community

The New Apostolic Church around the world

01/2019/GE

ამა წლის დევიზი:

მდიდარი ქრისტეში

რედაქციისგან:
პირველმოციქული ახალ წელთან დაკავშირებით

ღვთისმსახურება:
თავისუფლების გზაზე

ეკლესიის მოძღვრება:
ეკლესიის საყოველთაობა

New Apostolic Church
International

მდიდარი ქრისტეში

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

გულითადად მოგესალმებით ამ ახალ წელს. ჩემი სურვილია, რომ ეს წელი ისეთი მტკიცე რწმენით დავიწყოთ, როგორიც 22-ე ფსალმუნშია გამოხატული: „უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება!“

მიუხედავად პრობლემებისა, წვალებისა და შიშებისა, შეგვიძლია მშვიდად დავასკვნათ, რომ ღმერთი უზომოდ მდიდარია - მდიდარი სიკეთით, მდიდარი მოთმინებით, მდიდარი წყალობითა და მადლით.

და მას უნდა, რომ ეს სიმდიდრე ჩვენც გვიწილადოს. ჩვენ კი შეგვიძლია ამ სიმდიდრის მოზიარენი გავხდეთ - კერძოდ, იესო ქრისტეში.

საყვარელო და-ძმანო, ჩემი რჩევა იქნება, რომ 2019 წლისათვის შემდეგ მიზანზე ვიყოთ კონცენტრირებულნი: „ვიყოთ მდიდრები ქრისტეში!“ ამიტომაც, მოდით, ეს წელი ამ დევიზით გავატაროთ: „მდიდარი ქრისტეში!“

რაში მდგომარეობს ეს სიმდიდრე? როგორ მოვიპოვოთ იგი? მოდით, მომდევნო კვირებსა და თვეებში ამ საკითხებზე ვიმუშაოთ. მოუთმენლად ველოდები იმას, თუ როგორ იდეებს შთაუნერგავს სულიწმიდა თვითეულ თქვენთაგანს და მთლიანად თემებს.

და კიდევ ერთი აზრი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის: ჩვენ ქრისტეში სიმდიდრის გაზიარება შეგვიძლია - გაზიარება ისე, რომ თავად არ გავღარიბდებით. მაშ, ქრისტეში სიმდიდრე ჩვენს თანამოძმეებსაც გავუზიაროთ.

ეს უბრალოდ შესაძლებლობა ან მოთხოვნილება კი არ არის, არამედ ჩვენი დანიშნულებაა.

გისურვებთ, რომ 2019 წელმა უხვი კურთხევა მოგიტანოთ!

თქვენი ჟან-ლუკ შნაიდერი

თავისუფლების გზაზე



ღვთისმსახურება 2018 წლის 15 აპრილს ტორონტოში (კანადა)

ფოტო: კანადის ახსე

იოან. 8, 36:

„თუ ძე გაგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით.“

ჩემო საყვარელო და-ძმანო, პირველ რიგში, ჩემი პირადი სიხარული მინდა გაგიზიაროთ. მე ხომ, როგორც პირველმოციქულს, არა მაქვს „ძირითადი აზრები ღვთისმსახურებისათვის“. თავად უნდა მოვძებნო სიტყვა და ეს ყოველთვის გარკვეულ ფიქრებთან არის დაკავშირებული: „კარგია? ეს ის სიტყვაა, რომელიც ლოცვით გამოვითხოვე? ...“ ჩემი ყურადღება ამ ბიბლიურმა ციტატამ გუშინ და დღეს მაშინ მიიპყრო, როცა თქვენი სამხ. მოციქულის მიერ შერჩეული შესავალი საგალობელი ვნახე. მოცემული ბიბლიური ტექსტი საგალობლის პირველ სტროფშია ციტირებული. ეს ნიშანი იყო ჩემთვის: „ო, ეს თავად საყვარელმა ღმერთმა ამომირჩია“, რის გამოც ძალიან ბედნიერი ვარ. კარგად მესმის, რომ ცუდი ამინდის გამო (რედაქციის შენიშვნა: თოვლიანი ქარბუქი) ყველამ, ვინც ამ ღვთისმსახურებაზე იყო მოწვეული, დასწრება ვერ შეძლო. ამასთან დაკავშირებით რაღაც მინდა

გითხრათ; ზოგიერთები ახლა ალბათ კითხულობენ: „რატომ არ მოგვეცა იმის შესაძლებლობა, რომ ამ ღვთისმსახურებას დავსწრებოდით?“ რა თქმა უნდა, ამას ეშმაკს ვერ დავაბრალებთ, რადგან ამინდზე პასუხისმგებელი ეშმაკი არ არის. ამინდთან დაკავშირებით ღმერთი იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ ეს უფრო გვირთულებს ამის გაგებას, ვინაიდან, დარწმუნებული ვარ, ყველამ ვილოცეთ ამ ღვთისმსახურებისათვის. ვემზადებოდით მისთვის, საგალობლებს ვსწავლობდით, ახლა კი ვხედავთ, რომ ღმერთმა განსაკუთრებული ამინდი მოგვივლინა, რის გამოც ბევრი ვერ მოვიდა. მაშ, რა მოხდა? შეიძლება ახლა რომელიმე თქვენთაგანი ფიქრობს, რომ არასაკმარისად ილოცა ანდა რამე შეეშალა. ჩემო და-ძმანო, ეს ნამდვილად არ არის ასე. უფრო გარკვევით რომ ვთქვა, ეს ღვთის ნება იყო. თქვენ არაფერ შუაში ხართ. ამაში არავის მიუძღვის ბრალი.

გაიხსენეთ პავლე მოციქული. მას რამდენჯერმე უნდოდა რომის თემის მონახულება, მაგრამ ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს (რომ. 1, 13). პავლე დიდი ღვთისკაცი იყო: ლოცვა მას შეეძლო, თუ შეეძლო, თუმცა ყოველთვის ვერ აკეთებდა იმას, რაც სინამდვილეში უნდოდა. შეიძლება ის ასე ფიქრობდა: „რომის თემისთვისაც და ჩემთვისაც კარგი იქნება, თუ მივალ მათთან“, მაგრამ ხელი ეშლებოდა. ღმერთი კი ამას ყველაფერს სხვა კუთხით ხედავდა. და თუ რატომ, ეს პავლემ არ იცოდა. ერთ რამეს უნდა მივხვდეთ: ღმერთის გაგებას ვერ შევძლებთ. ესაია წინასწარმეტყველი ამბობდა: „რადგან ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის, და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის!’ - ამბობს უფალი. – ‘რადგან როგორც ცაა მაღალი დედამიწაზე, ისე ჩემი გზებია მაღალი თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები - თქვენს ზრახვებზე“ (ეს. 55, 8-9). ღმერთს ვერც გონებით ჩავწვდებით და ვერც მის საქმეებს გავიგებთ.

ზოგჯერ გვპასუხობდა ღმერთი ლოცვებზე, ზოგჯერ კი - არა. შეიძლება ვინმემ თქვას: „იესომ ხომ აღგვითქვა: რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებო (იოან. 14, 13). სწორედ ამაშია საქმე: ვითხოვოთ იესოს სახელით. და მაინც რას ითხოვს იესო? მან მამას უთხრა: „არ გევედრები, რომ აიტაცო ისინი ამ ქვეყნიდან, არამედ, რათა ბოროტისაგან დაიფარო ისინი“ (იოან. 17, 15). ასე ლოცულობდა იესო. ღმერთს ვერაფერს ვაიძულებთ, მაშინაც კი, თუ ყველაფერს სწორად გავაკეთებთ და გვეგონება, რომ ახლა კი ავტომატურად ჩვენი სურვილისამებრ უნდა მოიქცეს ღმერთი. ის იმას აკეთებს, რაც სურს. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებულნი შეგვიძლია ვიყოთ, ის არის, რომ ღმერთი შეასრულებს თავის აღთქმას. მან ასე აღგვითქვა: „მიყვარხარ და მინდა, რომ მარად ჩემთან იყო და საუკუნო თანაზიარება გვქონდეს ერთმანეთთან.“

იესო ჩვენი ცოდვებისათვის მოკვდა, რამეთუ მის სასუფეველში შესვლა შევძლოთ. მან თქვა: „თუ დაიცავ ჩემ სიტყვას, მიიღებ ჩემს მიერ მოვლენილ მოციქულებს, რამეთუ მოგამზადონ მათ როგორც სასძლოს შემადგენელი ნაწილი, მაშინ შეხვალ ჩემს სასუფეველში. მე ისევ მოვალ, რათა ჩემთან წაგიყვანო.“ ეს არის ღვთიური აღთქმა, ჩვენი რწმენის საფუძველი. არ გვჯერა იმის, რომ ღმერთი ყველაფერს მოგვცემს, რასაც შევთხოვთ. არც იმის გვჯერა, რომ ღმერთს რაიმეს ვაიძულებთ. ჩვენ მხოლოდ ვთხოვთ მას და ისიც ხან გვპასუხობს და ხან არა. მაგრამ ჩვენ მის სიყვარულს ვენდობით. ერთ რამეში სრულიად დარწმუნებულნი შეგვიძლია ვიყოთ: ის შეასრულებს მოცემულ აღთქმას და მოგვივლენს მის საყვარელ ძეს, და ყველას, ვინც ერთგულად მიჰყვებოდა ქრისტეს, ვინც ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოციქულთა მეშვეობით მოემზადა, საუკუნო თანაზიარება ექნება მასთან. საყვარელო და-ძმანო, მოდით, იესოს ამ აღთქმაზე ვიყოთ ორიენტირებულნი, რომელსაც იგი აუცილებლად აღასრულებს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ვიცით, რომ ვერ შევძლებთ მის გაგებას, მაგრამ ვენდობით მას. ის ყოველთვის მოგვამარაგებს იმით, რაც ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის გვჭირდება.

„ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ“

ახალ კი ჩვენს ბიბლიურ ციტატას დავუბრუნდეთ. აქ იესო იმ იუდეველებს მიმართავს, ვისაც სწამდა მისი. მან უთხრა, რომ გაანთავისუფლებადა მათ. „თავისუფლება“ ჩვენთვის დღეს, პირველ რიგში, ნიშნავს შემდეგს: „არ ვიყოთ ტყვეობაში“. „თავისუფლება“ კიდევ ნიშნავს თავისუფლად გადაადგილებისა და აზრის გამოთქმის უფლებას ისე, რომ ვერავინ შეძლოს ჩვენი დაბრკოლება. ასე გვესმის დღეს ცნება „თავისუფლება“.

იესოს ეპოქაში საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. იესომ ახსნა, თუ როგორ ესმოდა მას თავისუფლება. ის მონის მდგომარეობას ბავშვის მდგომარეობას ადარებს. მონა ან მსახური თავისუფალი არ არის, ვინაიდან ის მის ბატონს ემორჩილება და მისი ნება უნდა შეასრულოს. მან თავისი ბატონისთვის უნდა იშრომოს და ამაში არაფერს უხდიან. ასეთია მონის მდგომარეობა. ბავშვი კი, პირიქით, მართალია, ის მამას უნდა დაემორჩილოს, მაგრამ ბოლოს მემკვიდრეობას იღებს. ასეთ განსხვავებას აკეთებს იესო და ასე ხსნის „თავისუფლებას“.

იესომ უთხრა მათ: „ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ - ამ სიტყვებმა აღაშფოთა იუდეველები და ასე მიუგეს მას: „ჩვენ აბრაამის შთამომავალნი ვართ და არასოდეს არავისი მონები არ ვყოფილვართ.“ და განრისხებულებმა უთხრეს: „როგორღა ამბობ, თავისუფლები გახდებითო?“ ჩვენთვის ეს ცოტა უცნაურად ჟღერს, რადგან ვიცით, რომ იუდეველები იმჟამად რომაელების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს რომაელთა საოკუპაციო რეჟიმის ეპოქა იყო. ისინი იტანჯებოდნენ ამ ოკუპაციით, მაგრამ ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, თითქოს თავისუფლები იყვნენ და უფლებებიც გააჩნდათ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ, მართალია, ქვეყანა რომაელებს ჰქონდათ დაპყრობილი, მაგრამ ისინი იუდეველებად რჩებოდნენ. რომაელებმა ვერ აიძულეს ეს ხალხი, დაეთმოთ თავიანთი რწმენა. ისინი მტკიცედ იცავდნენ საკუთარ რწმენას, რჯულს და ტრადიციებს; არ გახდნენ რომაელები და სწორედ ეს იგულისხმება ამ სიტყვებში: „ჩვენ თავისუფლები ვართ. მართალია, ჩვენი მტერი, რომაელთა არმია, აქ არის, მაგრამ ჩვენ მაინც თავისუფლები ვართ. მტკიცედ ვიცავთ ჩვენს რწმენას, რჯულსა და ტრადიციებს.“ ხშირად უარყოფითი აზრი გვაქვს ხოლმე შექმნილი იმ ეპოქის იუდეველებზე, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მაოცებენ ისინი. არც ისე ბევრი ხალხია ისეთი, რომლებიც მიუხედავად ყველაფრისა, რაც გადაიტანეს, მაინც წარმატებულად დაიცვეს თავიანთი რწმენა, რჯული და ტრადიციები. მათ კარგად ესმოდათ: „ეს არის ჩვენი იდენტურობა, ეს ვართ ჩვენ. რაც არ უნდა მოხდეს, მტკიცედ უნდა დავიცვათ იგი.“ - აი, ეს იწვევს ჩემში აღფრთოვანებას.

> „რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ვართ და ვიქნებით ქრისტიანები“

ეს ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს. ასეთივე ძლიერები ვართ ჩვენც, როგორც ქრისტიანები? ჩვენც შეგვიძლია ამის თქმა: „რაც არ უნდა მოხდეს, ვართ და ვიქნებით ქრისტიანები - დაე, თუნდაც უცხო სულების გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდეთ; დაე, თუნდაც ამ ქვეყანას ფული მართავდეს, დაე, თუნდაც მრავალი შეხედულება არსებობდეს, ჩვენ მაინც ქრისტიანებად დავრჩებით.“ ჩვენს იდენტობაში შედის კვირაობით ღვთისმსახურებაზე სიარულიც იმისათვის, რომ თაყვანი ვცეთ ღმერთს. ჩვენ გვჭირდება ერთობლივი ლოცვა. ეს არის ჩვენი რწმენა, ჩვენი რჯული. ჩვენ ქრისტიანები ვართ, ვიღებთ მსხვერპლს და ვერავინ გვაიძულებს ამის დათმობას. ეს არის ჩვენი იდენტობა. ჩვენი სურვილია, რომ, როგორც ქრისტიანები, თავისუფლები ვიყოთ: ჩვენ ქრისტიანები ვართ და დავრჩებით ქრისტიანებად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ქვეყანა უცხო სულებისა და გავლენების განმგებლობაში მოექცევა, ჩვენ მაინც ვაჩვენოთ და დავამტკიცოთ, რომ ქრისტიანები ვართ და ასეთებად დავრჩებით. ეს არის თავისუფლების პირველი ასპექტი.

ცხადია, იესომ სულ სხვა რამ იგულისხმა და ეს უნდა აეხსნა მათთვის: „კარგი, მაგრამ თქვენ ხომ ისევ ცოდვის ტყვეები ხართ.“ იუდეველებისათვის ეს ძნელი გასაგები იყო. ადამმა და ევამ გველს მოუსმინეს, რომელიც ბევრ რამეს შეჰპირდა მათ. დაუჯერეს და, საბოლოო ჯამში, მოტყუებულები აღმოჩნდნენ. არასწორი გადაწყვეტილების გამო ისინი ბოროტის მონები გახდნენ. ცოდვით დაცემის შედეგად ყველა ადამიანი ბოროტის ტყვეობაშია. ადამიანსა და ღმერთს შორის უფსკრული გაჩნდა, რაც ღმერთთან თანაზიარებას შეუძლებელს ხდიდა.

ლუკას სახარებაში ნათქვამია, რომ ღვთის ძე ტყვეებისათვის თავისუფლების საუწყებლად იქნა მოვლენილი. მან თქვა: „შემიძლია გაგათავისუფლოთ, ისე გამოგისყიდოთ, რომ აღარ იქნებით ბოროტის ტყვეები. იმათ, ვისაც ჩემი მსხვერპლის საფუძველზე სწამს ჩემი, ღმერთთან თანაზიარებისა და მასთან მისვლის შესაძლებლობა ისევ მიეცემათ. ისინი აღარ იქნებიან ტყვეები.“ ამას გულისხმობდა, როცა ამბობდა: „თუ ძე გაგათვისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით“ (იოან. 8, 36). აღარ იქნებით ცოდვით შებორკილნი. „ჩემს მორწმუნეთ მივცემ ძალას და დავეხმარები, რათა უარი უთხრან ბოროტსა და ცოდვას. არავინ გვაიძულებს ბოროტების ჩადენას. შეგვიძლია სიკეთე ვაკეთოთ. ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება და, თუ სიკეთის კეთების გადაწყვეტილებას მივიღებთ, დაგეხმარებით.“ ეს არის თავისუფლების შემდეგი ასპექტი. მაშასადამე, ვისაც იესო ქრისტესი სწამს, ვინც მისი სახელით არის მონათლული, თავისუფალია ამ ბატონობისგან. ისინი უკვე აღარ არიან ბოროტის ტყვენი და ღმერთთან მისვლა შეუძლიათ. ეს არის ის თავისუფლება, რომლის მიცემაც იესოს ადამიანებისათვის შეუძლია.

თუმცა ასეთი თავისუფლება მუდმივი პროცესიც არის. ის ნათლობით იწყება. 2. კორ. 3, 17-ში ნათქვამია: „ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა.“ ე. ი., უფლის სული იმაში გვეხმარება, რომ ქრისტეში თავისუფლებას მივაღწიოთ. მოდით, მივენდოთ ამ პროცესს. ჩვენი სურვილია, ვიყოთ ისეთივე თავისუფლები, როგორც იესო. ჩვენი სურვილია, ვიყოთ თავისუფალნი იესო ქრისტეში. ხოლო სულიწმიდის ზემოქმედების შედეგად, სახარების ქადაგების შედეგად, წმიდა ზიარებისა და სულიწმიდის მადლის მეშვეობით, რომელიც მოგვეფინა, ზუსტად ისეთივე თავისუფლები შეგვიძლია ვიყოთ, როგორც იესო. მაინც როგორია ეს თავისუფლება?

პავლე რომაელებს სწერდა: „რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან“ (რომ. 8, 2). რჯული გარკვეულ დებულებებს გვიწერს. იუდაური რჯულიც: მორწმუნეები ვალდებულნი იყვნენ, ბევრი დადგენილი წესი შეესრულებინათ, დაეცვათ მცნებები, და თუ ასე არ მოიქცეოდნენ, დაისჯებოდნენ. ასეთი იყო მოსეს რჯული. იესომ თქვა: „თუ შენში ღვთის სულია, თუ შენში ჩემი სულია და იცავ ჩემ სიტყვას, შეგიძლია განთავისუფლდე ამ რჯულისგან.“ მერე და როგორ? ძალიან მარტივად, რამეთუ სულიწმიდით აღბეჭდვისას ღვთიური სიყვარული ჩაგვესახა გულში. აღარ ვართ იძულებულნი, დავემორჩილოთ ღმერთს.

ახლა საქმე სულ სხვაგვარად არის. ჩვენ გვიყვარს ღმერთი და ვნატრობთ მასთან თანაზიარებას. გავაცნობიერეთ, რომ ღმერთთან თანაზიარების გზა მორჩილებაზე გადის. ამდენად, ნებაყოფლობით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დავიცავთ მცნებებს, რამეთუ ღმერთთან საუკუნო თანაზიარება გვსურს. გვიყვარს რა ღმერთი და მასთან საუკუნოდ ყოფნა გვინდა, მივსდევთ იესო ქრისტეს იმ გზაზე, რომელიც მან გაგვიკვალა. ეს გადაწყვეტილება ჩვენ თვითონ მივიღეთ ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ თავისუფალნი ვართ რჯულისგან და აღარ არსებობს იძულება. ჩვენ ნებაყოფლობით ავირჩიეთ ეს გზა, ვინაიდან ღმერთთან გვინდა; ეს ის გზაა, რომელიც მასთან მიგვიყვანს. სწორედ ამ გზას გვინდა გავყვეთ. ჩვენ იმაშიც დავრწმუნდით, რომ, თუ მცნებებს დავიცავთ, ღმერთი ჩვენში იცხოვრებს. ეს კი შესანიშნავი შეგრძნებაა. ჩვენი სურვილია, გვქონდეს ქრისტეში თავისუფლება. აი, ეს გზა ავირჩიეთ. არავინ გვაიძულებს ამ გზაზე სიარულს, არამედ თავისუფალნი ვართ არჩევანში.

კიდევ ერთი ასპექტი არსებობს. თავისუფლება, რომელიც იესოსგან მოდის, საბოძვარია. ის ამ თავისუფლებას ყოველგვარი „მიღწევის“ გარეშე გვაძლევს. ღვთის არსებითი თვისებაა ის,

რომ ყველაფერს, რაც ხსნისათვის გვჭირდება, უსასყიდლოდ გვანიჭებს. თუ გავაცნობიერებთ, რომ თავისუფლება ქრისტემ გვიბოძა, მაშინ ჩვენც შევძლებთ, რომ ღმერთს ნებაყოფლობით ვუძღვნათ, მაგ., ნდობა, მორჩილება და ა.შ. იმას, რისი გაკეთების შეძლებასაც ქრისტეს თავისუფლება გვაძლევს, აღარ გავაკეთებთ გასამრჯელოს მიღების მიზნით და აღარც პრეტენზიებს წავუყენებთ ღმერთს. იესო ქრისტეს კი გასამრჯელოს მიღების მოლოდინის გარეშე ვემსახურებით. ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში იმაზეა ლაპარაკი, რომ ჩვენ ქრისტეს მონები ვართ (ეფეს. 6, 6). მონა იმას აკეთებს, რასაც მისი ბატონი უბრძანებს. ის მუშაობს, მაგრამ ანაზღაურებას არ იღებს. იესო ქრისტე თავად აკეთებდა ძალიან ბევრს სხვებისათვის ისე, რომ გასამრჯელოს მოლოდინი არ ჰქონია. იესო მაგალითი უნდა იყოს ჩვენთვის ამაში. თავისუფლება იქ არის, სადაც იესოა. თუ ჩვენ მისი მსახურნი და მონები ვართ, მაშინ თავისუფლებიც ვართ და არ ველოდებით გასამრჯელოს, არამედ მისადმი სიყვარულით ვმოქმედებთ. ასე ქრისტესთვის ვიმსახურებთ და აღარ ვიქნებით ამქვეყნისა და ამქვეყნიური მოთხოვნების ტყვეები.

იესო ნებაყოფლობით ანიჭებდა ადამიანებს თავის სიყვარულს. ვერავინ დაუდგენდა მას, თუ ვინ უნდა შეეყვარებინა და ვინ არა. ვერც ადამიანთა წარმოშობა, ვერც მათი შეცდომები და საქციელი უშლიდა მას ხელს ამაში. მას უბრალოდ ყველა უყვარდა. თავისუფლების კიდევ ერთი, მშვენიერი ასპექტი ეს არის: სიყვარული მიკერძოების გარეშე. იესოს შეეძლო, რომ ყველა ადამიანი ჰყვარებოდა, და ეს სული ჩვენს გულებშიც ჩაისახა. მოდით, მივცეთ სულიწმიდას ჩვენი ისე ჩამოყალიბების საშუალება, რომ გვიყვარდეს ადამიანები მათი წარმოშობისა და ნაკლის მიუხედავად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზოგადოება გვეუბნება: ის არ უნდა გიყვარდესო! ჩვენ ასე უნდა ვუპასუხოთ: „არა! ჩვენ თავისუფლები ვართ. თქვენ ვერ დაგვიდგენთ იმას, თუ ვინ უნდა გვიყვარდეს და ვინ არა. ჩვენ გვსურს, რომ ყველა ადამიანი გვიყვარდეს, როგორც იესოს.“ ეს გამოწვევაა და არც ისე მარტივი, მაგრამ იესოს დახმარებით და იმით, რომ სულ უფრო მეტად მივცეთ სულიწმიდას ჩვენზე ზემოქმედების საშუალება, შევძლებთ იესოსავით სიყვარულს - მიკერძოების გარეშე. „თუ მე გაგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით.“ მოდით, ისეთივე თავისუფლები ვიყოთ, როგორც იესო.

სიყვარულით გახდა იესო მონა და ემსახურებოდა თავის მოწაფეებს. მან მათ ფეხები დაბანა. იესომ ის სამუშაო შეასრულა, რომელსაც, როგორც წესი, მონები ასრულებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ადამიანებისადმი სიყვარულის გამო გახდა იგი მონა და მათი ცოდვები იტვირთა. მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და ის ჩვენთვის მოკვდა, რამეთუ ჩვენი გამოსყიდვა ყოფილიყო შესაძლებელი. იესო სიყვარულის გამო გახდა მონა ჩვენი გამოსყიდვის მიზნით.

პავლე წერს, რომ ჩვენ თავისუფლებისკენ ვართ მოწოდებულნი, მაგრამ სიყვარულის გამო ერთმანეთს ვემსახურებით (გალ. 5, 13). ღვთის შვილთა თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ „მე შემიძლია ისე მოვიქცე, როგორც მინდა; დამოუკიდებელი ვარ და არავინ მჭირდება.“ ქრისტეს თავისუფლება ქრისტეს სხეულის ნაწილად ყოფნას ნიშნავს, რომლის ყველა წევრიც ერთმანეთს ემსახურება. მოყვასსაც სიყვარულით ვემსახურებით. ჩვენ მარტონი არ ვართ: მხოლოდ ჩვენ და ღმერთი და ღმერთი და ჩვენ. პირიქით, ჩვენ ქრისტეს სხეულის ნაწილი ვართ. მოდით, ნებაყოფლობით ვემსახუროთ ერთმანეთს. არავის უნდა, რომ უფრო მნიშვნელოვანი და უკეთესი იყოს, ვიდრე მოყვასი, ან უფრო მეტად უყვარდეთ, ვიდრე მოყვასი. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი საზრუნავი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ადამიანების. არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი იდეები უკეთესია, ვიდრე სხვების. მოდით, ვემსახუროთ ერთმანეთს, ვიყოთ თავმდაბალნი და დავეხმაროთ ერთურთს, რამეთუ ყველამ ჰპოვოს ხსნა.

ჩვენი სურვილია, რომ ყველა ადამიანმა მიაღწიოს ხსნას. არ არის აუცილებელი, რომ ისინიც

ჩვენნაირები გახდნენ. არც ის არის აუცილებელი, რომ კანადელები გახდნენ. შეუძლიათ ისეთებად დარჩნენ, როგორებიც არიან. მადლობა ღმერთს, არ არის აუცილებელი, რომ ხსნის მისაღწევად ფრანგები გახდნენ. ხედავთ, არც კი გაგცინებიათ, როცა კანადელები ვახსენე, მაგრამ ... გესმით, რასაც ვგულისხმობ. ხანდახან გვგონია, რომ ხსნის მოსაპოვებლად ადამიანები ისეთები უნდა იყვნენ, როგორებიც ჩვენ ვართ. აქ ცოტა მედიდურობასთან გვაქვს საქმე: „ჩვენ ვართ საზომი." არა, ქრისტეა საზომი, ჩვენ მხოლოდ მსახურები ვართ. მოდით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმაში, რომ ყველა ადამიანმა ჰპოვოს გამოსყიდვა და ღვთის სასუფეველში შესვლა შეძლოს. მაგრამ ჩვენ არ მოველით მათგან იმას, რომ ჩვენნაირები გახდებიან: ექნებათ იგივე ცხოვრების სტილი, იგივე აზრები და იდეები, იგივე გემოვნება და კიდევ მრავალი სხვა. ჩვენ ვემსახურებით ერთმანეთს, ვეხმარებით და პატივს ვცემთ და ასე ვიქცევით მაშინაც, თუ მოყვასი განსხვავდება ჩვენგან. ჩვენ ქრისტეს თავისუფლებისკენ ვართ მოწოდებულნი და სიყვარულით ვემსახურებით ერთმანეთს.

თუ ასე მოვიქცევით, ქრისტეს თანამემკვიდრენი გავხდებით. მაშინ იესო მართლა გაგვათავისუფლებს. ის გვიხსნის ადამიანური ცხოვრების შეზღუდვებისგან. ჩვენ აღდგომის სხეულს მივიღებთ, იგი არ დაექვემდებარება შეზღუდვებს, არც დროის და არც სხვა რომელიმე ამქვეყნიურ შეზღუდვებს. ეს სხეული თავისუფალი იქნება და იქ წავა, სადაც მოუნდება. მაშინ ყველა ჩვენი ადამიანური სისუსტისა და არასრულყოფილებისგან გავნთავისუფლდებით. თუ ქრისტეს გავყვებით და სულ უფრო მეტად გავითავისებთ ქრისტეს თავისუფლებას, ის ყველაფრისგან გაგვათავისუფლებს. მაშინ აღდგომის სხეულს მივიღებთ და მის სასუფეველში შესვლასაც შევძლებთ, სადაც აღარ იქნება არც ტკივილი, არც ტანჯვა, არც ცრემლები. ეს იქნება ნეტარება. აღსასრულის ჟამს ღმერთი ცოდვის მონობიდან იხსნის მთელ შემოქმედებას. ჯერ კიდევ პავლე მიანიშნებდა ამაზე: „აღსასრულის ჟამს ღმერთი ცოდვის მონობიდან იხსნის თავის შემოქმედებას და ახალ შემოქმედებას შექმნის, სადაც ცოდვის ადგილი აღარ იქნება." ეს არის ისტორიის დასასრული, მთელი ისტორიის დასასრული: სრული თავისუფლება ღმერთსა და ქრისტეში.

საყვარელო და-ძმანო, მოდით, დავიმახსოვროთ ეს რამოდენიმე მოსაზრება. იესო გაგვათავისუფლებს. ვისაც სწამს მისი, ვინც მონათლულია, ის განთავისუფლდება ცოდვის მონობისგან და ღმერთთან მისვლის შესაძლებლობა მიეცემა. ის აღარ იქნება ტყვე. მას ცოდვის უარყოფის შესაძლებლობაც მიეცემა: ცოდვის ჩადენას მას არავინ აიძულებს. თუ ის გადაწყვეტს, რომ „უარს ვიტყვი ცოდვაზე, არ ჩავიდენ ამ ცოდვას"-ო, იესო მას ბოროტისათვის უარის თქმის ძალას მისცემს. ის აღარ იქნება ტყვე. ჩვენ ყველას გვსურს, რომ სრულ თავისუფლებას მივაღწიოთ იესო ქრისტეში და მისნაირები გავხდეთ. არავინ გვაიძულებს მორჩილებას. ჩვენ თავისუფალნი ვართ და ნებაყოფლობით შეგვიძლია მორჩილების გზას დავადგეთ. ეს ის გზაა, რომელიც ღმერთთან მიდის და ჩვენც იქ გვინდა. გადაწყვეტილებას ნებაყოფლობით ვიღებთ.

ჩვენ შეგვიძლია, ისე ვემსახუროთ უფალს, როგორც ქრისტეს მონები. გასამრჯელოს არ ვითხოვთ, არამედ სიყვარულით ვაკეთებთ ამას იესოსათვის, მან ხომ ამდენი რამ გაგვიკეთა და ჩვენთან თავისი მემკვიდრეობის გაზიარებაც სურს. ჩვენ მას ნებაყოფლობით, სიყვარულით ვემსახურებით. მოდით, მიუკერძოებლად გვიყვარდეს და, რამეთუ ქრისტეში თავისუფლებისკენ ვართ მოწოდებულნი, ისე ვიმსახუროთ, როგორც იესო მსახურებდა და ერთმანეთს დავეხმაროთ. ჩვენი სურვილი მოყვასზე გაბატონება კი არ არის, არამედ მისი დახმარება და ისეთად მიღება, როგორიც არის, ასევე ერთგულების ბოლომდე შენარჩუნება. ჩვენ სრულიად თავისუფლები ვიქნებით იმისათვის, რომ მივიღოთ აღდგომის სხეული და დაველოდოთ ახალ შემოქმედებას, სადაც თავად შემოქმედება იქნება ცოდვის მონობისგან თავისუფალი. ეს არის ჩვენი მომავალი, ეს არის ჩვენი ამოცანა, ეს არის ჩვენი გზა.

ძირითადი აზრები

იესო მოვიდა, რამეთუ მისი მორწმუნენი ცოდვის მონობისგან გაენთავისუფლებინა. ნათლობა მემკვიდრეობითი ცოდვებისგან გვანთავისუფლებს. სულიწმიდა ქრისტეში თავისუფლებისკენ მისასვლელს გვიხსნის. ეს თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ ქრისტეს მაგალითისამებრ გვიყვარდეს და ვმსახურებდეთ.

ვაკეთოთ სიკეთე - მაგრამ სწორად

ფოტო: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახსე (სამხრეთ-აღმოსავლეთი)

ცხადია, თუ რა უნდა ვაკეთოთ: სიკეთე. ცხადია ისიც, თუ ვის უნდა გავუკეთოთ სიკეთე: მოყვასს. მაგრამ: მერედა რატომ? შედეგის მისაღებად მოტივაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ხუთი კარგი და ხუთიც ნაკლებად კარგი მიზეზი პირველმოციქულის ღვთისმსახურებიდან, რომელიც 2018 წლის 21 ივლისს კინდუში (კონგოს დრ) ჩატარდა.

რა შეიძლება, რომ არასწორად განვითარდეს?

ქმედება ადამიანური მოსაზრებების გავლენით არ უნდა ხდებოდეს; პირველმოციქლმა ხუთი უარყოფითი მაგალითი დაასახელა:

- იმის ნაცვლად, რომ ხალხი ღვთიურ კანონებს დაემორჩილოს, უმრავლესობის აზრს ემორჩილება: „ჩვენ არ ვამბობთ ასე: ‚ყველაფერი წესრიგშია, ვინაიდან ამას ყველა სჩადის.' ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ის არის, თუ რას იტყვის იესო ამაზე?"
- იმის ნაცვლად, რომ იესოს ემსახუროს, ხალხი ადამიანებს მიჰყვება: „იმას, რასაც უფლისათვის ვაკეთებთ, იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ მოციქულს ან წინამძღვარს მოვაწონოთ თავი. ჩვენ პატივს ვცემთ ღვთის მსახურთ, გვიყვარს ისინი, მაგრამ მღვდელმსახურნი მხოლოდ ინსტრუმენტები არიან."
- პატივისა და პრესტიჟის ძიება: „იმიტომ არ ვაკეთებთ საქმეებს, რომ ადამიანები აღვაფრთოვანოთ. ეს ის არის, რაც იესომ, მართლაც, მთელი გულით უარყო."
- ანგარებით მოქმედება: ბევრი სიკეთეს იმის მოლოდინით აკეთებს, რომ, როცა გაუჭირდება, მასაც აუცილებლად იგივეს გაუკეთებენ. „რასაც აკეთებ, მხოლოდ გამორჩენის მიზნით ნუ გააკეთებ."
- პიროვნების განსჯა გარეგნობის მიხედვით: „დაინახავენ თუ არა ამას ადამიანები, ვუყვარვართ თუ არა მათ, იმსახურებენ თუ არა ისინი, ჩვენ მაინც ვქადაგებთ სახარებას და სიკეთეს ვაკეთებთ ჩვენს ირგვლივ."

როგორ მოვიქცეთ სწორად?

„თუ მთავარი ღმერთთან ურთიერთობაა, მაშინ ქმედებაც სწორ ნიადგაზე დგას", ხაზგასმით აღნიშნა პირველმოციქულმა:

- მადლიერების გამო: „რატომ ვაკეთებთ სიკეთეს? ჩვენ ამას უფლისათვის ვაკეთებთ, ვინაიდან, შესანიშნავი ანდერძი დაგვიტოვა მან: საუკუნო სიცოცხლე";
- შეუპოვრად: ვერც უმადურობამ და ვერც თანამოძმეთა ნაკლებმა ინტერესმა ვერ უნდა აგვაღებინოს ხელი სიკეთის კეთებაზე. „და თუ არავინ დაინახავს იმ სიკეთეს, რომელსაც აკეთებ, იცოდე, რომ შენ ის უფლისათვის გააკეთე, და მან იცის ეს";
- წრფელი გულით: უფალი მარტო იმას კი არ ხედავს, თუ რას ვაკეთებთ, არამედ იმასაც, თუ რა მიზნით ვაკეთებთ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მართლა სიყვარულით და არა ქვენა აზრებით ვემსახუროთ უფალს";
- მოწიწებით: „ჩვენ მივიღეთ აღთქმა, რომ იესო ჩვენს წასაყვანად მოვა. ამიტომაც ათასჯერ უფრო მეტი მიზეზი გვაქვს სიკეთის კეთებისა";
- თავმდაბლობით: „უფალი გვთხოვს, რომ სიკეთე გავუკეთოთ მოყვასს. ჩვენ თვითონ სიამოვნებით მოვძებნით იმ ადამიანს, ვისაც უნდა დავეხმაროთ. მაგრამ უფალი გვეუბნება: „არა, არა! ეს ჩემი საქმეა. მოყვასი ის არის, ვინც გვერდით დაგიყენე."

კარგად მესმის, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ვინაიდან ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ", თქვა პირველმოციქულმა შნაიდერმა. „მოტივაცია ზოგან სწორი არ არის. მოდით, მოვაწესრიგოთ ეს საქმე."

დასკვნა: „ჩვენ სიკეთის კეთებისკენ ვართ მოწოდებულნი. ამას სარგებლის მიღების მიზნით არ ვაკეთებთ, არამედ უფლისადმი სიყვარულით. ღმერთს შეუპოვრად, თავმდაბლად და მოწიწებით ვემსახურებით, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე."

მარიამი და მართა

ლუკა 10, 38-42-ის მიხედვით

იესომ მოწაფეები ღვთის სასუფეველზე საუწყებლად მიავლინა. თავადაც დადიოდა ქვეყანაში და ღვთის მეუფებაზე ლაპარაკობდა, რომელიც უკვე დაწყებული იყო. სწორედ ამ დროს მივიდა იგი ბეთანიაში.

იესო და მისი მოწაფეები ერთ სოფელში მივიდნენ. იქ ცხოვრობდა ქალი, სახელად მართა. მან მიიღო იესო. მართას ჰყავდა და, მარიამი. ეს უკანასკნელი ფეხებთან მიუჯდა იესოს და უსმენდა, თუ რას ასწავლიდა იგი. მართა კი ამ დროს ძალ-ღონეს



არ ზოგავდა, რომ იესოს
გამასპინძლებოდა.
მართა იესოსთან მივიდა
და უთხრა: „უფალო, არ
განაღვლებს, რომ ჩემმა
დამ მარტოდ დამტოვა
სამასპინძლოდ? უთხარი,
მომეხმაროს!“
იესომ კი უპასუხა: „მართა,
მართა, შენ ბევრ რამეზე
ზრუნავ და წუხხარ, საჭირო
კი მხოლოდ ერთია. მარიამმა
უკეთესი წილი ამოირჩია,
რომელიც არ წაერთმევა მას.“

წყარო: საბავშვო ურნალი, გამოცემა 09/18; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატო

სტუმრად როზალინდასთან მალაბოში (ეკვატორული გვინეა)

გამარჯობათ! მე როზალინდა მქვია. დავიბადე 2006 წლის 15 ნოემბერს. ხუთი და-ძმა მყავს: გაბრიელი, კონსუელო, იოლანდა, ვენანსიო უმცროსი და მარია-იზაბელი. გაგიკვირდათ ალბათ, ესპანურად რომ მოგესალმეთ. ეკვატორული გვინეა ერთადერთი ქვეყანაა აფრიკაში, სადაც ოფიციალური ენა ესპანურია; 1968 წლამდე იგი ესპანეთის კოლონია იყო.

ეკვატორულ გვინეას მატერიკის გარდა კიდევ ხუთი კუნძული მიეკუთვნება. ყველაზე დიდი მათ შორის არის ბიოკო, იგი კამერუნის სანაპიროზე მდებარეობს. დავიბადე მატერიკზე, მაგრამ ახლა ბიოკოზე, მის დედაქალაქ მალაბოში ვცხოვრობთ.

კუნძულებზე ძალიან ცხელა და ხშირად წვიმს, ანუ ტროპიკული ჰავაა. ჩვენი ტროპიკული ტყეები ცხოველთა სამოთხეა: ეკვატორულ გვინეაში შეხვდებით გორილებს, ანტილოპებს, ლეოპარდებს, ტყის სპილოებს და კიდევ ბევრ სხვა ცხოველს. ასევე კუებს - ყოველი წლის იანვარსა და თებერვალში ათასობით კუ მოდის ბიოკოს პლაჟებზე. იქ ისინი ქვიშაში დებენ კვერცხებს.

დაწყებითი სკოლა უკვე დავამთავრე, იქ სულ ხუთი კლასია. ამჟამად მეექვსე კლასში დავდივარ. მიყვარს სწავლა, ვინაიდან ექიმი მინდა გამოვიდე. მიყვარს სიმღერა, ცეკვა და კითხვა. ვერ ვიტან

ტყუილებს ისევე, როგორც ავადმყოფობას. ხანდახან ვერ ვიტან, როცა მეხუმრებიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ხუმრობა უადგილოა. გარდა ამისა, ვერც ჩხუბსა და დისკუსიებს ვიტან. მომწონს თამაში და ტელევიზორის ყურება. შაბათ-კვირას ჩემს დებთან ერთად სკეიტბორდით ვსრიალებ. სურათზე კონსუელოსთან, იოლანდასთან და ჩემს დისშვილ ხემიმასთან ერთად ვარ (მარცხნიდან-მარჯვნივ).

მე მალობოს თემის წევრი ვარ. 2 მარტს პირველმოციქული ეკვატორულ გვინეას ესტუმრა; სამწუხაროდ, მე ვერ ვნახე ის, რადგან ღვთისმსახურება ბატას თემში ჩატარდა. იმედია, რომ შემდეგ მალაბოში ჩამოვა.
მიყვარს ეკლესიაში სიარული. როცა იქ ვარ, ბედნიერი ვარ, მიყვარს ასევე მუსიკა.

ეკლესიაში დადიან ჩემი მეგობრებიც: სამირა, გრაცი, ომარიტა, კატრინა, ჩემი ბიძაშვილი ქლოე და ჩემი დიშვილი ხემიმა. ამჟამად საკვირაო სკოლაში დავდივარ, მაგრამ მალე დავიწყებ კონფირმანდების გაკვეთილებს. 2017 წლის შობას ბიბლიური ტექსტი წავიკითხე ეკლესიაში. ღვთისმსახურება მამაჩემმა ჩაატარა, ის ჩვენი სამხ. ხუცესია.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 09/18; ფოტოები: ბრაადი, denisoliver, starush – Fotolia.com, voren1, coffeee_in – Fotolia.com

ფოტო: © lamppost - stock.adobe.com

ეკლესიისა და სახარების საყოველთაობა

ახალსამოციქულო რწმენის ძირითად ასპექტებზე პირველ სამ სარწმუნოებრივ დებულებაშია ლაპარაკი. იქ საუბარია აგრეთვე „ეკლესიის საყოველთაობაზე“. იმას, თუ რა იგულისხმება ამაში, პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი მომდევნო სტატიაში აღწერს.

ახალსამოციქულო მრწამსის პირველი სამი დებულება სამერთი ღმერთის, ღვთის ძის იესო ქრისტეში განკაცების, ქრისტეს ეკლესიის, საიდუმლოების, ქრისტეს მეორედ მოსვლისა და საუკუნო სიცოცხლის რწმენას ეხება. ქვემოთ მინდა ვისაუბრო მესამე სარწმუნოებრივი დებულებიდან აღებულ მოკლე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან პასაჟზე: „ჩვენ გვწამს ერთი, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესია“. ეკლესია, რომელზედაც აქ არის საუბარი, ქრისტეს ეკლესიაა და იგი კატეხიზმოშია განმარტებული (კატ. 2. 4. 3 / 6.4). მე აქ შემდეგი ასპექტი მინდა გამოვყო: ჩვენ გვწამს, რომ ეკლესია საყოველთაოა (ბერძნულად: კათოლიკური).

რწმენა ეკლესიის საყოველთაობის მიმართ

ქრისტეს ეკლესიის საყოველთაობა, ე. ი. კათოლიციზმი, გამომდინარეობს

- ხსნის ღვთიური ნების ყოვლისმომცველობიდან. ღმერთს უნდა, რომ ყველა დროის, ყველა ეროვნების და ნებისმიერ პირობებში მცხოვრებ ყველა ადამიანს ცოდვისგან გამოსყიდვისა და თავისთან თანაზიარების მიღწევის შესაძლებლობა მისცეს. ღვთიური ხსნის ეს უნივერსალური ნება უშუალოდ ეკლესიაში ვლინდება;
- იმ დავალებიდან, რომელიც იესომ მოციქულებს მისცა, კერძოდ, იუწყონ სახარება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე - სახარება ძალაშია და მოქმედებს ყველა ადამიანისთვის, გამონაკლისის გარეშე;
- იმ უფლებამოსილებიდან, რომელიც იესომ მოციქულობას მიანიჭა - იქ, სადაც მოციქულები მოღვაწეობენ, ყველა აუცილებელი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ადამიანმა ხსნის სისრულეს

მიაღწიოს.

ეკლესიის საყოველთაობაში წვდომა მხოლოდ რწმენით არის შესაძლებელი. რეალობაში ეკლესიის ამ უნივერსალურ თვისებას ყოველთვის ხილულად ვერ აღვიქვამთ - ე. ი. მის ისტორიულ რეალიზაციაში:

- ქრისტიანული რწმენის განვითარება ყველგან ერთნაირად ვერ მოხდა;
- სახარების ჭეშმარიტებას და აქტუალობას ეჭვქვეშ აყენებენ;
- სადავოა ეკლესიის აუცილებლობა, როგორც ხსნის გადაცემის ფაქტორისა;
- თანამედროვე მოციქულებს ქრისტიანების უმრავლესობა არ აღიარებს.

ამ დასკვნების გაკეთება შეიძლება როგორც წარსულთან, ასევე მომავალთან მიმართებაში. მაგრამ ეჭვმა და უარყოფამ, რომლებსაც ვაწყდებით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვისუსტოს რწმენა ეკლესიის საყოველთაობის მიმართ. ჩვენ გვწამს იესოს ამ აღთქმის: „ჯოჯოხეთის ბჭენი“ ვერ სძლევენ ქრისტეს ეკლესიას (მათ. 16, 18)! თუმცა ისიც ვიცით, რომ ეკლესიის საყოველთაობის რწმენა მხოლოდ მაშინ არის ცოცხალი, როცა ის საქმეებში ვლინდება. ეს საქმეები სახარების უნივერსალურ უწყებაში და იმაზე ზრუნვაში მდგომარეობს, რომ სახარება ყველამ მიიღოს.

უნივერსალურად მოქმედი სახარების უწყება

იესომ მოციქულებს დაავალა, რომ უქადაგონ სახარება ყველა ქმნილებას (მარკ. 16. 15). ეს მთელ მოციქულობას ეხება - როგორც თავდაპირველი ეკლესიის მოციქულებს, ასევე კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიის მოციქულებსა და ახალსამოციქულო ეკლესიის მოციქულებს.

ჩვენი მოწმობა და ქადაგება ემყარება არა მხოლოდ სახარებასა და სარწმუნოებრივ მოძღვრებას, არამედ ჩვენს გამოცდილებასაც. თუ ამ სულიერი ფონდიდან ვისაზრდოებთ, ბევრი ჩვენი თანამედროვის პრობლემებს უფრო კარგად გავიგებთ და იქნებ პასუხიც გავცეთ მათ:

- ღარიბებისა და უბედურების ნუგეშისცემას იმ აღთქმით შევძლებთ, რომ იესოს უყვარს ისინი და ზრუნავს მათზე. ხოლო იმის ჩვენებით, რომ ქრისტიანებს შორის კავშირი არსებობს და ისინი მხარში უდგანან ერთმანეთს, მათ გაძლიერებასაც შევძლებთ;
- იმათ გაძლიერებას კი, ვინც იტანჯება, ან ვისაც მომავლის შიში აქვს, იესოს მეორედ მოსვლაზე და საუკუნო სიცოცხლეზე მითითებით შევძლებთ;
- საზოგადოების განაპირას მყოფნი ღვთის შვილთა თანაზიარებაში თავიანთი ადგილის პოვნით გაიხარებენ;
- თემის ცხოვრება მორწმუნეს თანამშრომლობისა და აღიარების უამრავ შესაძლებლობას უხსნის, მისი განათლებისა და ნიჭისგან დამოუკიდებლად;
- მოციქულთა მოძღვრება , ე. ი. სახარების სათანადო უწყება, მორწმუნეს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს და შეიძლება შინაგან წონასწორობასაც კი მიაღწიოს.

ყველა ეს პასუხი სწორია და სახარებასთან თანხმობაშიმოდის.მაგრამუნდავაღიაროთ,რომმათ

უნივერსალური მოქმედების ძალა არა აქვთ - არ არის აუცილებელი, რომ ის ყველა ადამიანს ეხებოდეს. ყველა როდია ღარიბი და უსახსრო, ყველა როდია სნეული და გაჭირვებული, ყველა როდი მოითხოვს ნუგეშსა და გამხნევებას. მედიცინაში მიღწეული პროგრესის წყალობით ადამიანები დღეს აღარ არიან ისეთი უმწეონი სნეულებასა და ტანჯვაში, როგორც ადრე. სიცოცხლის ხანგრძლივობის გამო ხალხი ახლა ბევრად უფრო ნაკლებს ფიქრობს სიკვდილზე, ვიდრე წარსულში. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება და კონურბაციულ ცენტრებში (სუპერგიგანტ ქალაქებში) ცხოვრება იმდენად ამარტივებს სოციალურ კონტაქტებს, რომ მათ დასამყარებლად რომელიმე თემისადმი კუთვნილება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. ცხოვრებაში წარმატების ან სულიერი ბალანსის მისაღწევად თანამედროვე ადამიანს აღარ სჭირდება ღმერთი, არც იმისათვის, რომ „უკეთესი“ გახდეს. მაშასადამე, მას საერთოდ აღარ სჭირდება დიდი ნუგეში და აღთქმები, რომლებსაც, როგორც წესი, სახარება და სულზე ზრუნვა მოიცავს!

შედეგი: ჩვენი მოწმობა უკვე ვეღარ ახდენს ისეთივე გავლენას ჩვენს მოსაუბრეზე, როგორც ადრე. განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებთან ვერ ვპოულობთ ხშირად გამოძახილს, რომლებსაც საარსებო პრობლემები არ უდგათ. ამიტომაც სწორად მოვიქცევით, თუ სახარების იმ უნივერსალურ გამონათქვამზე ვიქნებით კონცენტრირებულნი, რომელიც ყველა ადამიანს ეხება: სახარების უნივერსალობა იმას ემყარება, რასაც იესო ქრისტე ღმერთზე გვასწავლის, გვასწავლის ჩვენს შესახებ, ღმერთთან და მოყვასთან ჩვენს ურთიერთობაზე, ასევე ხსნის შესახებ, რომელსაც ღმერთი გვიმზადებს:

- იესო ღმერთის სრულყოფილებას გვიცხადებს - ჩვენ არ ვიცით „სიკეთე მის გარეშე“ (ფსალმ. 15, 2; მათ. 5, 48);
- იესო გვასწავლის, რომ ღმერთი სიყვარულია. მას უპირობოდ უყვარს. მას უნდა, რომ მის სიყვარულს სიყვარულით ვუპასუხოთ, ოღონდ ნებაყოფლობით - ყოველგვარი ძალდატანების გარეშე;
- სახარება ღმერთს მის სამერთობაში გვიცხადებს: მამა, ძე და სულიწმიდა სამი სხვადასხვა იპოსტასია, რომლებიც სრულიად ერთნი არიან. მხოლოდ ამ ღმერთთან თანაზიარება აძლევს ადამიანებს განსხვავებების დაძლევის შესაძლებლობას ურთიერთშორის ერთობის ჩამოყალიბების მიზნით;
- თავისი სიკვდილითა და აღდგომით იესო ქრისტემ ღვთის სასუფეველთან მისასვლელი გაგვიხსნა. იმისათვის, რომ იესოს მეორედ მოსვლის დროს საბოლოოდ გავნთავისუფლდეთ ბოროტისგან, მის სიტყვებსა და საქმეებს უნდა მივბაძოთ და მაგალითად გავიხადოთ იგი;
- ღმერთს ჩვენთვის სრული მშვიდობის მონიჭება სურს, რამეთუ იმად გახდომის საშუალება მოგვცეს, რისთვისაც შეგვქმნა - ადამიანებად მისი ხატისამებრ, რომლებიც მასთან საუკუნო თანაზიარებაში იცხოვრებენ.

ეს გზავნილი, მართლაც, უნივერსალურია. სწორედ ეს უნდა იყოს მოციქულთა ქადაგებისა და ნებისმიერი ქადაგების ბირთვი!

სახარების უნივერსალური უწყება

მაშასადამე, სახარება ყველას უნდა ეხაროს. ზოგჯერ უპირატესობა ღარიბებისა და დაზარალებულებისათვის მიგვინიჭებია, ვინაიდან ვფიქრობდით, რომ მათი სიტუაციიდან გამომდინარე, ისინი უფრო მგრძნობიარენი არიან სახარების მიმართ. ეს სტრატეგია ყოველთვის არ ამართლებდა, ვინაიდან ბოლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ კონკრეტული მორწმუნის რწმენას საფუძვლები აკლდა. ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ გარკვეულ ჯგუფებთან კონტაქტისგან თავი შეგვიკავებია, რადგან ვფიქრობდით, რომ არსებული წინაპირობები ჩვენთვის ხელსაყრელი არ იყო. აქ მახსენდება ის ადამიანები, რომლებსაც ექსტრემალური სიღატაკისა და ძალმომრეობის პირობებში უწევთ ცხოვრება და ისინიც - და ამ შემთხვევაში აბსოლუტური წინააღმდეგობაა-, ვინც განათლებულია და კარგად ცხოვრობს. დარწმუნებული ვარ, რომ უფრო მეტად არაქრისტიანებისათვის უნდა მიგვემართა. გამოვიჩინოთ იგივე სიმამაცე, რასაც პირველი ქრისტიანები იჩენდნენ, და სახარების უწყებისას საზღვრებს ნუ გავავლებთ. ნუ ვიყოყმანებთ და ვიყოთ ნოვატორები!

იმისათვის, რომ სახარების უნივერსალური გზავნილი სარწმუნოდ ვიუწყოთ, არ არის საჭირო არც დედამიწაზე ცხოვრების „გმობა“ და არც მომავლის მუქ ფერებში დახატვა. ამგვარი მიდგომა მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის სახარების ჭეშმარიტებას სრულიად მიუწვდომელს ხდის. ქრისტეს მიმდევრობა არ ეწინააღმდეგება ამქვეყნიურ კეთილდღეობას, პირიქით, კეთილდღეობამ თავისი წვლილიც კი შეიძლება შეიტანოს რწმენის საქმეში!

სახარების უნივერსალური უწყება ერთგვაროვნების ნებისმიერ მოთხოვნას გამორიცხავს! ახალი სიცოცხლე ქრისტეში სრულიად განსხვავებულ

ეკონომიკურ, მენტალურ და კულტურულ პირობებში შეიძლება განვითარდეს! იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობა მოციქულთა მოძღვრებას გაჰყვეს, სულაც არ არის საჭირო, თავადაც იმას მიანიჭონ უპირატესობა, რასაც მათი წინაპრები ანიჭებდნენ. მოდით, პავლე მოციქულის მაგალითით ვიხელმძღვანელოთ: „იუდეველთათვის გავხდი, როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა. რჯულის ქვეშ მყოფთათვის - როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა თვითონ რჯულის ქვეშ უმყოფელი, რათა რჯულის ქვეშ მყოფნი შემეძინა. ურჯულოთათვის - როგორც ურჯულო, თუმცა არა ვარ ღმერთის ურჯულო, არამედ ქრისტეს რჯულიერი, რათა ურჯულოები შემეძინა. უძლურთათვის გავხდი უძლურივით, რათა უძლურნი შემეძინა. ყველასათვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მეხსნა როგორმე. და ყოველივე ამას ვაკეთებ სახარებისათვის, რათა მეც გავხდე მისი თანამონაწილე“ (1. კორ. 9, 20-23). მხოლოდ ამგვარად დაადგა მოციქული მისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებლის ნაკვალევს: ჩვენთვის რომ ეხარებინა, „წარმოიცარიელა თავი [ღვთის ძემ] და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა (ფილიპ. 2. 7).

ჩვენთან შედარებით ამ პრობლემატიკას ბევრად უფრო ადრე წააწყდა კათოლიკური ეკლესია და ამიტომაც განავითარა „ინკულტურაციის“ იდეა. კათოლიკე თეოლოგის, ივ კონგარის თანახმად (1904-1995 წწ.), ინკულტურაცია ეყრდნობა იმას, რომ „მოხდეს რწმენის მარცვლის კონკრეტულ კულტურაში შეტანა, სათანადოდ განვითარება და მასზე მხოლოდ ამ კულტურის საშუალებებისა და თვისებების გათვალისწინებით მსჯელობა“ (თავისუფალი თარგმანი). კარგი იქნება, თუ ამ აზრით ვიხელმძღვანელებთ, როცა არადასავლური კულტურების წარმომადგენლებთან სახარებაზე ვიმოწმებთ ან ჩვენი რწმენის მომავალი თაობისათვის გადაცემას მოვინდომებთ.

ეკლესია, უნივერსალური მოწმე

ჩვენს პასუხისმგებლობაში არა მარტო სახარების ყოვლისმომცველად და ყველასათვის უწყება შედის, არამედ იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი მოწმობა ყველამ მიიღოს. ისევ და ისევ იესო ქრისტეში ვპოულობთ მაგალითს: „იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოველ ამ ქვეყნად, რომ ჭეშმარიტება ვიმოწმო“ (იოან. 18, 37).

სახარების უნივერსალურ მოწმეებად ყოფნას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ დამაჯერებელნი ვიქნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ღირსეულად ვიუწყოთ სახარების გზავნილი. იესოს მაგალითისამებრ,

- დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ - ჩვენი რწმენა „მტკიცე დარწმუნებაა“ იმაში, რისი იმედიც გვაქვს (ებრ. 11, 1), და ჩვენს ამ დარწმუნებას ჩვენი გარემოც უნდა აღიქვამდეს;
- მტკიცედ გვქონდეს გადაწყვეტილი ბოროტის დაძლევა - თვითკმაყოფილი ქრისტიანის მოწმობა დამაჯერებელი არ არის;
- თავმდაბალნი უნდა ვიყოთ - იესო ზუსტად იმას აკეთებდა, რასაც მამა მოითხოვდა მისგან. ჩვენ იესოს სამსახურში ვდგავართ. დავკმაყოფილდეთ იმის კეთებით, რასაც ის მოელის ჩვენგან. ცოდვილს არ ეგების სხვა ცოდვილებისათვის სასჯელის დაწესება (იოან. 8, 7). პირიქით, იესო მოყვასის განსჯას გვიკრძალავს (მათ. 7, 1);
- არ ვიყოთ მიჯაჭვულნი - რაც უფრო ნაკლებად ვიქნებით მიჯაჭვულნი მატერიალურზე და პატივის ძიებაზე, მით უფრო გაგვიადვილდება მიტევება იმათთვის, ვინც ზიანი მოგვაყენა;
- ვიყოთ აღვსილნი ღმერთისა და მოყვასის სიყვარულით. გვიყვარს რა იესო, მზად ვართ, მისთვის და მასთან ერთად დავიტანჯოთ. გვიყვარდეს მოყვასი „საქმითა და ჭეშმარიტებით“ (1. იოან. 3, 18).

და ბოლოს, ყველა ჩვენთაგანს მოვუწოდებ: ვიყოთ მტკიცენი ქრისტეს ეკლესიისა და მისი ყოვლისმომცველი დანიშნულების მიმართ! ის მოწოდებულია, უნივერსალურად აუწყოს სახარება ყველას. ჩვენი ამოცანაა,

- ვიუწყოთ ხსნის უნივერსალური გზავნილი და არ ჩავებღაუჭოთ მეორეხარისხოვან ასპექტებს;
- მივყვეთ სულიწმიდის იმპულსებს იმგვარად, რომ სახარების უწყება შეზღუდვების გარეშე იყოს შესაძლებელი;
- ვიყოთ ორიენტირებულნი ქრისტეს მაგალითზე, რამეთუ ჭეშმარიტი მოწმენი ვიყოთ.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ახალგაზრდებს ახალგაზრდებისგან

სულ რამოდენიმე თვე დარჩა და დაიწყება 2019 წლის საერთაშორისო ახალგაზრდული დღე. ეს დიდი დროა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელს, იწყებენ მუშაობას ან ქმნიან სამუშაო ჯგუფებს. მაგრამ ცოტა დროა ისეთი დიდი ივენთის დასაგეგმად, რომელმაც 30 000-ზე მეტი მონაწილე უნდა აღაფრთოვანოს.

ფოტო: ევროპის ახალგაზრდული დღის ფოტოგრაფთა გუნდი

ამანდა (პფორცჰაიმიდან) კარგად ერკვევა დიდი ღონისძიებების მოწყობაში. იგი ივენთების მენეჯერად მუშაობს; როგორც ახალგაზრდების კურატორმა, ამანდამ ეკლესიის ფარგლებშიც უკვე რამოდენიმე ახალგაზრდული ივენთი დაგეგმა და მოაწყო. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ, როცა საერთაშორისო ახალგაზრდული დღის მოსაწყობად დაგეგმვის ჯგუფისათვის - „კონტენტი (შინაარსი)“ - ახალგაზრდა წევრებს ეძებდნენ, სწორედ მას გაუწიეს რეკომენდაცია. ამანდამ სამსახურიდან თავისუფალი დღეები აიღო და ჰესენში, ბად-კამბერგში, საერთაშორისო ახალგაზრდული დღის დაგეგმვის ჯგუფის სხდომაზე გაემგზავრა. საღამოს ჯგუფი ტაუნუსშტაინში მდებარე ახალსამოციქულო ეკლესიაში შეიკრიბა. იქ ის სამუშაო ჯგუფები ხვდებიან ერთმანეთს, რომლებიც 2019 წლის საერთაშორისო ახალგაზრდული დღის პროექტებით არიან დაკავებულნი. მას შემდეგ, რაც შეკრებილებმა ერთმანეთი გაიცნეს, გვერდითა ოთახებში გაუჩინარდნენ და მოცემულ პროექტებზე მუშაობა გააგრძელეს.

გავხადოთ რწმენა აღსაქმელი

საბავშვო ოთახში წრეში ისხდნენ ანა-კაროლინა, ანკე, ბენიამინი, ჟასმინი და ვანესა. ეპისკოპოსი რალფ ვიტიხი და მოციქული ული ფალკი შეუერთდნენ მათ და მოისმინეს, თუ რაზე მუშაობდა ეს ხუთი ადამიანი რამოდენიმე თვის განმავლობაში: მათ სურდათ, კატეხიზმო ისე გადაემუშავებინათ, რომ ახალგაზრდებისათვის მისაწვდომი ყოფილიყო. „ჩვენი იდეა ასეთია: ნაშრომი ახალგაზრდებს ახალგაზრდებისგან, რაც რწმენას აღსაქმელს გახდის და დაანახებს მათ, რომ რწმენაც შეიძლება იყოს სახალისო“, ახსნა ბენიამინმა, რომელიც, როგორც ჰესენის სამუშაო ჯგუფის - „ახალგაზრდობა“ - წევრი, პროექტს ხელმძღვანელობს. ეს ხუთი ახალგაზრდა ერთი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ ხვდებოდა ერთმანეთს. მათი პროექტის კონცეფცია სახეზეა, მის განხორციელებაზე კი ერთად მუშაობენ.

ვანესა 18 წლისაა, არც ისე დიდიხანია, რაც კონფირმანდების გაკვეთილები გაიარა.: „ცხადია, სარწმუნოებრივი დებულებები ზეპირად მაქვს ნასწავლი. მაგრამ რას ნიშანავს ისინი ჩემთვის?“ მათ საკუთარი გამოცდილებიდან იციან, რომ რწმენასთან დაკავშირებული ბევრი გამონათქვამი მხოლოდ თეორიაში რჩება და ნაკლებად აქვს შეხება ყოფასთან, ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ

ახალგაზრდა ქრისტიანებისათვის ამ თემებთან მიმართებაში პრაქტიკული მიდგომა შეიმუშაონ.

კატეხიზმო ხუთი სახალისო ფაქტორით

მაშ ასე, თავიანთ სათამაშო ყუთში ახალგაზრდები სახალისო თამაშებს აღმოაჩენენ, მათ შორის „სარწმუნოებრივი დებულება - ვინ დაასწრებს“ და „ბიბლიურ ბლიც-პაემანს“. ამ დროს ორი ახალგაზრდა ერთმანეთის პირისპირ ზის, თვითეული მათგანი რომელიმე ბიბლიურ პერსონაჟს განასახიერებს; დასმულ კითხვებზე „კი და არას“ პასუხით, შეძლებისდაგვარად, სწრაფად უნდა გამოიცნონ, თუ რომელი ბიბლიური ფიგურა იმალება მის პირისპირ მჯდომის უკან.

თამაში „სარწმუნოებრივი დებულება - ვინ დაასწრებს“ დაგეგმვის ჯგუფის წევრებისათვის პრაქტიკულად იქნება ნაჩვენები: მოთამაშეებს ბარათებს დაურიგებენ. ერთ-ერთი მათგანი სარწმუნოებრივი დებულების ტექსტს ხმამაღლა წაიკითხავს. და როცა რომელიმე მოთამაშე შესაბამის ზოგად ცნებას დაასახელებს, სხვები რაც შეიძლება სწრაფად დააწყობენ ხელებს ცენტრში ერთმანეთზე. ყველაზე ბოლო ვინც იქნება, იმან ბარათი უნდა აიღოს. გასაოცრად კარგად ფუნქციონირებს ეს თამაში; რამოდენიმე წრის შემდეგ მეხსიერების რომელიღაც კუნჭულში შეყუჟული სარწმუნოებრივი დებულება კვლავ აქტიური ხდება.

ახალგაზრდებმა ისე შეიმუშავეს თამაშები, რომ ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მათი ამობეჭდვა ან უფასო აპლიკაციების მეშვეობით თამაში, ასევე ვიდეო თამაშების ინსტრუქციების შედგენა. სათამაშო ყუთისა და ვიდეორგოლების შესაქმნელად მათ პროფესიული მხარდაჭერაც სჭირდებათ, ასევე თამაშების თეოლოგიური ტესტირებისათვის და მათი სხვა ენებზე სათარგმნად.

ქალების გამოკითხვა

ძმების ოთახში ასევე წრეში სხედან ერთმორწმუნე დები და მღვდელმსახურები. ამანდა ფლიპჩარტთან (ბორმარკერის დაფასთან) დგას და წერს, თუ რა თემებს ისურვებს საპროექტო ჯგუფი „ქალები“ 2019 წლის საერთაშორისო ახალგაზრდული დღისათვის. რაც შეეხება ქალებისათვის სასულიერო თანამდებობის მინიჭებას, ამ თემაზე მათ საუბარი არ სურთ, ვინაიდან ამ საკითხში ყველა ერთსულოვანია. „ეს ის თემაა, რომელსაც პირველმოციქული და სამხ. მოციქულები თავის დროზე წამოსწევენ“, განაცხადა მოციქულმა გერდ ოპდენპლატცმა. გარდა ამისა, ეკლესიაში ქალებისათვის ბევრი თავისუფალი სივრცეა სამუშაოდ, რომლებსაც ალბათ ყველა მხარესა და თემში ჯერ კიდევ არ იყენებენ. იმის ახსნა-განმარტება, თუ რისი გაკეთება და შექმნა შეუძლიათ ახალგაზრდა ქალებს ეკლესიაში, ორივე სამუშაო ჯგუფისათვის მნიშვნელოვანია.

იდეებში ჩაფლული საპროექტო ჯგუფის წევრები კიდევ დიდხანს გააგრძელებდნენ დისკუსიას, მაგრამ ფოიეში ატეხილმა ხმაურმა და ჩოჩქოლმა მუშაობა შეაწყვეტინა მათ. ახალგაზრდები ჯგროდ შემოვიდნენ ვესტიბიულში და თან გვერდს უქცევდნენ ჭურჭლით, ხილითა და თერმოსებით სავსე დიდ ყუთებს. ვახშმის დრო იყო ყველასთვის, ტაუნუსშტაინისა და შვალბახის თემების ახალგაზრდებთან ერთად.

ორიენტირებულნი უფრო მოკლე ვადაზე

გრძელ მაგიდასთან, რომელზედაც ცივი აპეტაიზერი, პასტა და ვაშლის წვენი იყო გაწყობილი, საუბარი იმაზე მიმდინარეობდა, თუ რას მოელიან ახალგაზრდები 2019 წლის საერთაშორისო ახალგაზრდული დღისგან, რომელი კონტენტი აინტერესებთ და რომელი საკომუნიკაციო არხების შესახებ სურთ ინფორმაციის მიღება. დაგეგმვის ჯგუფის წევრებმა შეიტყვეს, რომ ღონისძიებებთან დაკავშირებით ახალგაზრდებს, უპ. ყოვლისა, მოკლევადიანი და სპონტანური გადაწყვეტილების მიღება სურთ, გრძელვადიან დაგეგმვაზე ლაპარაკიც კი არ არის.

„ისეთი განცდა მაქვს, რომ ახალგაზრდებმა ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს საერთაშორისო ახალგაზრდული დღის მასშტაბურობა, მათთვის 2019 წელი ჯერ კიდევ შორს არის“, ამბობს ამანდა. ამგვარი დამოკიდებულების შეცვლის ბოლო ვადა ტაუნუსშტაინში შეხვედრაა. ამისათვის, უპ. ყოვლისა, ენთუზიასტებია საჭირო, რომლებიც ამ ენთუზიაზმს სხვებსაც გადასდებენ, ისეთები, როგორიც ჰანაა, ტაუნუსშტაინის თემის ახალგაზრდების კურატორი: „მაშინ მეც ვიღებდი მონაწილეობას ახალგაზრდულ დღეში და ეს იყო ისეთი არაჩვეულებრივი განცდა, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ‚ჩემმა‘ ახალგაზრდებმაც 2019 წელს იგივე განიცადონ.“

პროგრამა

06.01.2019	ბერნი (შვეიცარია)
12.01.2019	უამბო (ანგოლა)
13.01.2019	ბენგელა (ანგოლა)
20.01.2019	მაინცი (გერმანია)
27.01.2019	კეიპ-კოასტი (განა)
03.02.2019	ბერლინი (გერმანია)
10.02.2019	შარლოტი (აშშ)
03.03.2019	ბუჟუმბურა (ბურუნდი)
10.03.2019	როზენჰაიმი (გერმანია)
15.03.2019	კოლონია (ურუგვაი)
17.03.2019	კოლონია (ურუგვაი)
24.03.2019	დესაუ (გერმანია)
31.03.2019	კამპალა (უგანდა)

New Apostolic Church
International